*ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის*

ოქმი №2

ქ. ვანი 20 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ალექსანდრე მჟავანაძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილ ჭელიძე - ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, თავმჯდომარეის მოადგილე.

შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

რუსუდან აბჟანდაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.

რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

თამარ ადეიშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით თავისუფლების ქ. №63-ში მდებარე შენობის რემონტის, სტადიონის კაპიტალური რემონტის I ეტაპის, ზედავანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების, თავისუფლების ქუჩაზე არსებულ სკვერში გარე განათების მოწყობის, ცენტრალურ მოედანთან სკვერის მოწყობის, თავისუფლების ქ.№64 მდებარე ბინის ფასადის შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (უ/ნ 303) შედეგების განხილვა.*

*მოისმინეს:* საკონკურსო კომისიის წევრის რუსუდან აბჟანდაძის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, რომ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა: შპს „ჯეო როუდი" –მა და შპს „ნგ ჯგუფი" –მა.კონკურსანტების მიერ წამოდგენილი დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტების თანდასწრებით და განხილული იქნა საკონკურსო დოკუმენტაცია.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „ნგ ჯგუფის " მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავდა საკვალიფიკაციო მონაცემებს, რის გამოც აღნიშნული დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს , ხოლო შპს „ჯეო როუდი"-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადება ხარვეზითაა წარმოდგენილი (საკონკურსო წინადადების ფასი ჩასწორებულია ხელით).

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ - ალექსანდრე მჟავანაძემ.
კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ - ავთანდილ ჭელიძემ.
კომისიის წევრებმა: შოთა კორძაძემ, რუსუდან აბჟანდაძემ.

დაადგინეს:

1) ვინაიდან, შპს „ნგ ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილ პირობებს და მოთხოვნებს,აგრეთვე, შპს „ჯეო როუდი"-ს მიერ საკონკურსო წინადადება ხარვეზითაა წარმოდგენილი პრეტენდეტების საკონკურსო წინადადებებს მიენიჭოთ დისკვალიფიკაცია და კონკურსი ჩაითვალოს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით.
3) ვანის მუნიციპალიტეტის მიერ თავისუფლების ქ. №63-ში მდებარე შენობის რემონტის, სტადიონის კაპიტალური რემონტის I ეტაპის, ზედავანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების, თავისუფლების ქუჩაზე არსებულ სკვერში გარე განათების მოწყობის, ცენტრალურ მოედანთან სკვერის მოწყობის, თავისუფლების ქ.№64 მდებარე ბინის ფასადის შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსი გამოცხადდეს განმეორებით.

სხდომის თავმჯდომარე: ალექსანდრე მჟავანაძე

კომისიის წევრები:

1. ავთანდილ ჭელიძე
2. შოთა კორძაძე
3. რუსუდან აბჟანდაძე

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი